



## ცვლილება კანონში

### შინაარსი

- სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის საკითხები
- აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე
- საგადასახადო შეღავათები და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნება
- დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების გაუქმება
- საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსება
- შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით
- აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობები

### სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი

2024 წლის 29 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 134-მს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. აღნიშნული ცვლილებები შეეხო სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზებიდან მიღებული შემოსავლის საშემოსავლო და მოგების გადასახადებით დაბეგვრას.

განახლდა სსკ-ის 81-ე მუხლის 3<sup>1</sup> ნაწილი და 98-ე მუხლს დაემატა ახალი მე-6 ნაწილი, რომელიც ადგენს საშემოსავლო და მოგების გადასახადების განაკვეთებს. კერძოდ, განახლებული ჩანაწერებით როგორც საშემოსავლო გადასახადის, ისე მოგების გადასახადის ნაწილში ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშოებში მონაწილეობის შედეგად სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორის დასაბეგრი შემოსავლისა, იბეგრება 20 პროცენტით. ცვლილებამდე აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავალი იბეგრებოდა საშემოსავლო/მოგების გადასახადების 15 პროცენტის განაკვეთით.

ზემოთ მოხსენებული ცვლილების საფუძველზე, შეიცვალა სსკ-ის 130-ე მუხლის პირველი ნაწილი და ასევე დაემატა ახალი მე-9 ნაწილი, რომელიც კავშირშია გადახდის წყაროსთან დივიდენდების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრასთან. კერძოდ, პირველი ნაწილის განახლებული ვერსიით განისაზღვრა ის შემთხვევები, როდესაც დივიდენდის გაცემა არ იბეგრება გადახდის წყაროსთან. დამატებული მე-9 ნაწილი კი ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას განგვიმარტავს, კერძოდ, 2025 წლისა და შემდგომი პერიოდების კუთვნილი მოგებიდან გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ეს დივიდენდი გაცემულია სათამაშო აპარატების სალონის მომწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორის მიერ, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება ამ კოდექსის 98-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული 20-პროცენტის განაკვეთით, საქმიანობის ამ ნაწილის კუთვნილი მოგებიდან.

### აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე

ამავე ცვლილების თანახმად, ასევე განისაზღვრა აქციზის განახლებული განაკვეთები აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა). განახლებული ვერსიით, გაიზარდა ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (ესნ) 2402 და 2404 ჯგუფების (სიგარები, სიგარები წაჭრილი ბოლოებით, სიგაროები (წვრილი სიგარები) და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცველებსაგან) გარკვეულ ნაწილზე აქციზური განაკვეთები. მაგალითად, სეს ესნ 2402 ჯგუფის გარკვეულ კატეგორიებზე აქციზურმა განაკვეთმა განიცადა 20-თეთრიანი ზრდა. ასევე, 20 თეთრამდე გაიზარდა სეს ესნ 2404 ჯგუფის გარკვეული კატეგორიის საქონელზე აქციზური განაკვეთი.

აღნიშნული ცვლილებები ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

# ცვლილება ბრძანებაში

## ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნება

2024 წლის 6 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №393, რომლითაც ცვლილება შევიდა „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებაში.

ცვლილების შედეგად განახლდა №633 ბრძანებაში მოცემული ფორმა №3, „არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის მოთხოვნა“, რისი შევსებაც ახლა უკვე შესაძლებელია ელექტრონულად და ასევე, ივსება საგადასახადო აგენტის მიერ, ამავე აგენტის მიერ გაცემული ანაზღაურების ნაწილში. ბრძანების ახალი ვერსიით, საგადასახადო ორგანო, განცხადების საფუძველზე, ელექტრონულად გასცემს ზემოხსენებულ ფორმას.

არარეზიდენტის მიერ საქართველოში გადახდილი/დაკავებული გადასახადების შესახებ ცნობის მოთხოვნას (ფორმა №3) და ცვლილების შედეგად, ფორმის გაცემას, №633 ბრძანების განახლებული მე-4 მუხლი განმარტავს. ცვლილების შედეგად, აღნიშნულ მუხლში განახლდა ფორმა №3-ის შევსების წესი, კერძოდ, შესავსები „ნაწილების“ სახელწოდებები, რაც განახლებული სახელწოდებებით ჩამოყალიბდა, როგორც „არარეზიდენტის მონაცემები“, „შემოსავლის გადახდა“ და „საქართველოში არსებული ქონება“.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ცნობის გაცემით საგადასახადო ორგანო ადასტურებს არარეზიდენტი პირის მიერ საქართველოში მიღებულ შემოსავალზე ან/და საქართველოში არსებულ ქონებაზე გადახდილი გადასახადის ოდენობას, რასაც არარეზიდენტი პირი შემდგომში წარადგენს თავისი რეზიდენტობის ქვეყანაში, რომ ორმაგად არ დაიბეგროს.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 21 დეკემბრიდან.**

## ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების გაუქმება

2024 წლის 26 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №421, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 66<sup>2</sup>-ე მუხლს „ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა“ დაემატა ახალი მე-9 პუნქტი.

№996 ბრძანების 66<sup>2</sup>-ე მუხლის ახალი მე-9 პუნქტი განმარტავს, რომ თუ საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია (მიწოდება) იბეგრება დღგ-ით სსკ-ის 161<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად და თუ ეს ოპერაცია კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაუქმდა, მაშინ საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი აღნიშნული ოპერაციის გაუქმების შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საგადასახადო ორგანოს, რაც აგრეთვე მისივე პირადი აღრიცხვის ბარათზე თანხის შემცირების საფუძველია.

შეგახსენებთ, რომ სსკ-ის 161<sup>1</sup> მუხლის „ცალკეულ შემთხვევებში დღგ-ით დაბეგვრა“ პირველი ნაწილის მიხედვით, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა)



გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაცია (მიწოდება) იბეგრება დღგ-ით ამ მუხლის შესაბამისად, ხოლო ამ ოპერაციაზე დარიცხული დღგ-ის თანხის პირის (საქონლის მესაკუთრის) სახელით ბიუჯეტში გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი უფლებამოსილი პირი.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 27 დეკემბრიდან.**

## **მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის შევსება**

2024 წლის 4 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №390, რომლითაც ცვლილება შევიდა „სპეციალური დაბეგრის რეჟიმების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №999 ბრძანებაში.

ცვლილებით განახლდა როგორც ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალური დაბეგრის რეჟიმების შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №1), ასევე „მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის, მისი შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №5).

კერძოდ, განხორციელებული ცვლილებით განახლდა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის მესამე ნაწილი, რასაც დაემატა ახალი სვეტები და ითვალისწინებს დამატებით შემდეგი ინფორმაციის ასახვას:

- ნაღდი ფულით ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი (საკონტროლო-სალარო აპარატის ბრუნვა)
- პოს-ტერმინალით მიღებული შემოსავალი
- უნაღდო ანგარიშსწორებით მიღებული შემოსავალი
- სხვა ფორმით მიღებული შემოსავალი (მათ შორის, განუული მომსახურების ღირებულება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან), რომელიც არ არის ასახული ზედა სტრიქონებში (ბარტერული ოპერაციით მიღებული შემოსავალი, ჩგდ-ით მიღებული შემოსავალი და სხვა)
- გადასახადის გადამხდელისთვის, ვინც შემოსავლებს და ხარჯებს აღრიცხავს დარიცხვის მეთოდით (ასეთია დღგ-ის გადამხდელი მცირე მენარმე) დაემატა სტრიქონები, სადაც აისახება საქონლის მიწოდებით/მომსახურების განწევით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომლის საკომპენსაციო თანხა არ არის ანაზღაურებული მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, ასევე შესამცირებელი დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით დაბეგრილია საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებამდე და ასევე, აისახება მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მიღებული ავანსები.

ბრძანებაში აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე განხილულია ორი მაგალითი. პირველ შემთხვევაში მოცემულია საკასო მეთოდით აღრიცხული შემოსავლების და ხარჯების დეკლარირებისას დანართის სტრიქონების შევსების დეტალური განხილვა. მეორე მაგალითში კი განხილულია დღგ-ის გადამხდელი მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ დეკლარაციის წარდგენის წესი, როდესაც ხდება შემოსავლებისა და ხარჯების დარიცხვის მეთოდით აღიარება. აღნიშნულით დამტკიცდა, რომ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირმა საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის დასაბეგრი შემოსავალში თანხა უნდა ასახოს დღგ-ის გარეშე ღირებულებით, თუ რა თქმა უნდა, განხორციელებული ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას და ღირებულება მოიცავს დღგ-ის თანხას.

**ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 5 დეკემბრიდან და ვრცელდება 2024 წლის დეკემბრის და მის შემდგომ საანგარიშო პერიოდებზე წარსადგენ დეკლარაციებზე.**

## **გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართის განახლებული მე-14 სვეტის შევსების წესი**

2024 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №433, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის

31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. ცვლილების შედეგად, განისაზღვრა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართი „ა“-ს მე-14 სვეტის შევსების და შევსებაზე უფლების მინიჭების წესები.

შეგახსენებთ, რომ მე-14 სვეტი 2024 წლის მაისის თვიდან უკვე უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ორმაგი დაბეგვრის თვიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ჩათვლას დაქვემდებარებული, უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის თანხა. 2024 წლის 31 დეკემბრის ცვლილებით დამატებულია საილუსტრაციო მაგალითი, რომელიც წარმოგვიდგენს პრაქტიკაში რა შემთხვევაში შეიძლება შეეხოს ამ ინფორმაციის ასახვა.

საქართველოსა და ზოგიერთ უცხო ქვეყნის მთავრობას შორის გაფორმებული ორმაგი დაბეგვრის თვიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება შესაძლოა ითვალისწინებდეს იმას, რომ საქართველოს რეზიდენტი ფიზიკურ პირზე საქართველოში გაცემული ხელფასი ექვემდებარებოდეს დაბეგვრას როგორც საქართველოში, ასევე მოცემულ უცხო ქვეყანაში. სწორედ ასეთი შემთხვევაში გამოიყენება გადახდის წყაროსთან დაკავშირებული გადასახადის დეკლარაციის მე-14 სვეტი.

მაგალითის მიხედვით, საქართველოს რეზიდენტის მიერ საქართველოში მიღებულ ხელფასზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე გადახდილი გადასახადით შეიძლება შეიმციროს საქართველოს რეზიდენტმა პირმა (ან არარეზიდენტი პირის მუდმივი დაწესებულება) უცხო ქვეყანაში გადახდილი გადასახადის ფარგლებში არაუმეტეს აქ დარიცხული გადასახადის ოდენობა.

ცვლილების ინსტრუქციას ასევე დაემატა ახალი 38<sup>1</sup>-ე მუხლი. აღნიშნული მუხლის მიხედვით, განისაზღვრა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის „ა“ დანართის მე-14 სვეტის შევსებაზე უფლების მინიჭების წესი, რის შედეგადაც ზემოხსენებული გამოქვეყნების უფლების მოსაპოვებლად, პირი საგადასახადო ორგანოს განცხადებით მიმართავს საგადასახადო ორგანოს და ვალდებულია განცხადებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.**

## ცვლილება დადგენილებაში

**შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში**

2024 წლის 23 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №436, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებაში „შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში“ შესახებ.

### ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიხლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება მნიშვნელოვან ცვლილებებს კანონში, ბრძანებასა და დადგენილებაში.

**მარიამ ხუსკივაძე**  
MKhuskivadze@bdo.ge

**მიხეილ ენუქიძე**  
ME nukidze@bdo.ge  
▶ ვრცლად [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიო პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის

განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

ცვლილების შედეგად, №415 დადგენილებით დამტკიცებულ დანართ №5-ს „შემოსავლის სახეები, რომლებიც არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგრვის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში“ დაემატა მე-12 პუნქტი. ახალი პუნქტის მიხედვით, განისაზღვრა, რომ სამშენებლო შემოსავლის სახეებით გაწეული მომსახურებით მიღებული შემოსავალი, კერძოდ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (სეკ) 006-2016-ის 41.2 ჯგუფით საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობით მიღებული შემოსავალი, სეკ-ის 42-ე განყოფილებით გამოქალაქო მშენებლობით მიღებული შემოსავალი და ასევე 43-ე განყოფილებით სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოებით მიღებული შემოსავალი არ დაიბეგრება სპეციალური დაბეგრვის რეჟიმით და არ ითვლება მცირე ბიზნესის განხორციელების ფარგლებში მიღებულ ერთობლივ შემოსავალში, თუ აღნიშნული მომსახურების მიმღებია სანარმო, ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი. აქედან გამომდინარე, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული საქმიანობ(ებ)ით მიღებული შემოსავალი დაიბეგრება საერთო წესით, საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

**ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 თებერვლიდან.**

## აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობები

2024 წლის 30 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №465, რომლითაც დამტკიცდა „აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპების, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მოპოვებისა და გაუქმების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციით განისაზღვრა აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების ძირითადი პრინციპები, შესაბამისი სუბიექტების უფლება-მოვალეობები, აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და გაუქმების წესები და პირობები.

შეგახსენებთ, რომ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებს, რომლებიც აღნიშნული საქმიანობით არიან დაკავებული, 2025 წლის პირველი იანვრიდან, კალენდარული წლის განმავლობაში ამ საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლის ლიმიტი განესაზღვრათ 700,000 ლარით, ნაცვლად 500,000 ლარისა. რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი საქმიანობების ფარგლებში მიღებულ შემოსავალს 700,000 ლარამდე დაბეგრავენ 1%-იანი განაკვეთით, ხოლო გადაჭარბების შემთხვევაში - 3%-ით. ამავდროულად, 700,000 ლარიანი ზღვრის ორჯერ ზედიზედ გადაჭარბების შემთხვევაში დაკარგავენ მცირე მეწარმის სტატუსს და ამ სტატუსის შესაბამის საგადასახადო შეღავათებს.

**ცვლილება ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრიდან.**